დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა [უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების] მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა ლეჟავა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, საქართველო

წევრები:

გიორგი თუთბერიძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	203850813
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	გრიბოედოვის ქ N 8-10, თბილისი, 01-08, საქართველო
ვებ-გვერდი	www. conservatoire.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2018. 07.09 #63
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 07.09.

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	5
მაგისტრატურა	4
ერთსაფეხურიანი	0
დოქტორანტურა	3
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	14
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	0
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	0
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	19

სტუდენტები[4]

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			23.07.2019
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	343	202	0

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

ბაკალავრიატი	278	127	0
მაგისტრატურა	59	66	0
ერთსაფეხურიანი	0	0	0
დოქტორანტურა	6	9	0
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0	0	0
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	0	0	0
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	8	10	0
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	0	0	0

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	76
- პროფესორი	11
- ასოცირებული პროფესორი	52
- ასისტენტ პროფესორი	13
- ასისტენტი	-
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	-
- აფილირებული პროფესორი	-
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	-
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	-
- აფილირებული ასისტენტი	-
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	170
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	314

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	12 271,08
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	10 929, 90
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1 341,18

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

2019 წლის 23 ივლისს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში (შემდგომში „კონსერვატორია“) ჩატარებულ მონიტორინგს საფუძვლად დაედო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის სხდომის ოქმი #4, რომლის თანახმადაც, საბჭომ მიიჩნია, რომ ამავე დაწესებულებაში 2019 წლის 10 იანვარს ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში დადგენილი ხარვეზების საფუძველზე ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები არ იყო შესრულებული. შესაბამისად, საბჭომ კონსერვატორიას რეკომენდაციების შესასრულებლად მისცა 60 დღიანი ვადა. 2019 წლის 10 იანვრის, ასევე 2019 წლის 23 ივლისის მონიტორინგი აფასებდა კონსერვატორიაში არსებულ მდგომარეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2.1 და 2.4 სტანდარტებთან მიმართებაში. მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, შეფასდა მხოლოდ უსდ-ს მიერ რეკომენდაციების შესრულება 60-დღიან ვადაში. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში არ მომხდარა უსდ-ს სრული შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებაში გაიმართა შეხვედრები შემდეგი პირებთან: კონსერვატორიის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, აკადემიური საბჭოს წარმომადგენლები, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საშემრსულებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიური პერსონალი, დაწესებულების იურისტი.
ვიზიტის ბოლოს, მონიტორინგის ჯგუფმა კონსერვატორიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 23 ივლისი 2019

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
სტანდარტის კომპონენტი 2.1 - ორგანიზაციის სტრუქტურა და მართვა. [შეფასება: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან]	შეფასება: უნივერსიტეტმა ნაწილობრივ გაითვალისწინა 2019 წლის 10 იანვრის მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები. კერძოდ:

რეკომენდაცია: უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან	1) ამჟამად, კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 15 წევრების შემადგენლობის ¼ არის სტუდენტი; წინა მონიტორინგის დროს სტუდენტების რაოდენობა იყო ერთით ნაკლები 2) საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 40 წევრიდან 32 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 8 - სტუდენტი. აღნიშნული ხარვეზი (სტუდენტების რაოდენობა ნაკლებია საბჭოს საერთო რაოდენობის ¼-ზე), რომელიც გამოვლინდა წინა მონიტორინგის დროს, ამ ეტაპზე აღმოფხვრილი არ არის. 3) მონიტორინგმა დაადგინა რომ კონსერვატორიამ ინიცირება გაუკეთა წესდების ცვლილებას, სადაც აღმოფხვრილია 2019 წლის 10 იანვრის მონიტორინგის მიერ დადგენილი ხარვეზები, თუმცა აღნიშნული ცვლილება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ამ ეტაპზე დამტკიცებული არ არის. 4) მონიტორინგმა დაადგინა, რომ თანამდებობრივ შეუთავსებლობასთან დაკავშირებული ხარვეზი გასწორებულია, თუმცა ამავდროულად, კვლავაც ფიქსირდება ინტერესთა კონფლიქტი (იხ. ქვემოთ, დეტალური აღწერა, გვ. 9).
სტანდარტის კომპონენტი 4.1 - პერსონალის მართვა [შეფასება: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან] რეკომენდაცია: 1) უზრუნველყოფილ იქნას აკადემიური თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან; 2) კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, მკაფიოდ იქნას ჩამოყალიბებული	შეფასება: 1) მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული დაწესებულების მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები შესაბამისობაშია მოყვანილი კანონდემბლობით დადგემილ მოთხოვნებთან; 2) მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ ქულობრივი სისტემით ჩაშლილია აკადემიური პერსონალის შერჩევის ორი ძირითადი კრიტერიუმიდან (შემოქმედებითი-პროფესიული უნარები; პედაგოგიური უნარები) მხოლოდ ერთი - პედაგოგიური უნარები, ხოლო

კონკურსანტისათვის უპირატესობის მინიჭების მექანიზმი, დეტალურად ჩაიშალოს შეფასების კონკრეტულ კომპონენტში კონკურსანტისთვის ქულების მინიჭების სქემა.	შემოქმდებეითი-პროფესიული უნარების შეფასების კრიტერიუმებში, ასევე დამატებით კრიტერიუმებში ქულების მინიჭების სისტემა განსაზღვრული არ არის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა კონტიგენტი წარმოდგენილი იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად (საბჭოს წევრთა ¼).
2. დასრულდეს ს(ს)იპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების განახლებული რედაქციის დამტკიცების პროცესი.
3. კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიური პერსონალის არჩევის წესში მკაფიოდ იქნას განსაზღვრული კონკურსანტისთვის ქულების მინიჭების სქემა: ასისტენტ-პროფესორების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას შემოქმედებითი-პროფესიული უნარების შეფასების კრიტერიუმებში და დამატებით კრიტერიუმებში შეფასების ქულობრივი სისტემა, ხოლო პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების შემთხვევაში განისაზღვროს როგორც პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებით-პრაქტიკული და დამატებითი კრიტერიუმების შეფასების ქულობრივი სისტემა.

რჩევები

შემუშავდეს მექნიზმი ინტერესთა კონფლიქტის აღმოსაფხვრელად; სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძძვანელი იმავდროულად არ იკავებდეს რომელიმე პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელის პოზიციას.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დიანა ლეჟავა (თავმჯდომარე)
2. გიორგი თუთბერიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის სხდომის ოქმის #4 საფუძველზე, რომელსაც წინ უსწრებდა ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგი (2019 წლის 10 იანვარი) სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, 2019 წლის 23 ივლისს განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: 1. 2019 წლის 10 იანვრის მონიტორინგის დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ „'უმაღლესი განათლების შესახებ' საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 'ძირითად საგანამანათლებლო ერთეულის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ძირითადი საგანამანათლებლო ერთეულის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის ¼-ზე ნაკლები.'" დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ მონიტორინგის მსვლელობისას კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 14 წევრიდან 12 იყო აკადემიური პერსონალი, ხოლო 2 სტუდენტი, რაც წარმოადგენდა დარღვევას. ასევე, საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 40 წევრიდან 32 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 8 არის სტუდენტი. 23 ივლისის მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 14 იანვრის სხდომის ოქმის #6 საფუძველზე საბჭოში არჩეულ იქნა კიდევ ერთი სტუდენტი, რამაც აღმოფხვრა არსებული შეუსაბამობა კანონმდებლობასთან. თუმცა, ამავე დროს, დადგინდა, რომ პრობლემა აღმოფხვრილი არ არის საშემსრულებლო ფაკულტეტზე. მიმდინარე მონაცემებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (2018 წლის 1 ივნისი, ოქმი #4) დგინდება, რომ საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოში კვლავაც რჩება 8 სტუდენტი, რაც შეუსაბამობაშია კანონმდებლობასთან: 40 წევრიდან ¼ (10 წევრი) იყოს სტუდენტი. 2. 2019 წლის 10 იანვრის მონიტორინგმა გამოავლინა შეუსაბამობა დეკანობის კანდიდატისადმი დაწესებულების წესდებით და კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს შორის, სადაც წესდების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დეკანად შეიძლება არჩეულ იქნას პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 4 წლიანი გამოცდილება, მაშინ როცა კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დებულებაში (მე-7 მუხლი, მე-3 პუნქტი) აღნიშნულია 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება. 23 ივლისის მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ კონსერვატორიას ინიცირებული აქვს წესდების ცვლილება (ს(ს)იპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #7, 11 თებერვალი, 2019; საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტოში წარდგენილი ცვლილების დოკუმენტი, რეგისტრაციის თარიღი 21 მარტი 2019, რეგისტრაციის ნომერი 01/357), რომელშიც აღნიშნული ხარვეზი გასწორებულია, და მითითებულია, რომ „დეკანად შეიძლება აირჩეს კონსერვატორიის შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება“ (მუხლი 21, პუნქტი 3). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს მიერ აღნიშნული ცვლილება მონიტორინგის განხირციელების ეტაპზე დამტკიცებული არ იყო. კონსერვატორიის იურისტთან გასაუბრების დროს, მონიტორინგის ჯგუფის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ სიტყვიერი თანხმობა სამინისტროდან ცვლილების დამტკიცების თაობაზე არსებობს, თუმცა აღნიშნული თანხმობა წერილობითი სახით წარმოდგენილი არ არის.

3. ასევე, 2019 წლის 10 იანვრის მონიტორინგის დასკვნაში აღნიშნულია ხარვეზი, რომელიც ეხება თანამდებობრივ შეუთავსებლობას. კერძოდ, აღნიშნულია, რომ კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამავე დროს იკავებს კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეულის, კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის, საეკლესიო მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელის პოზიციას, ხოლო კონსერვატორიის კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დასტურდებოდა, რომ მიმართულებები არის სტრუქტურული ერთეულები. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ეს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს.

   23 ივლისის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ხარვეზი გასწორებულია, და კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმის #5, 14 იანვარი 2019, თანახმად, შეცვლილია საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების დებულებები. დებულებების განახლებული ვერსიით, პროგრამული მიმართულებები არ მოიაზრება საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებად. აღნიშნულს ასევე ადასტურებს კონსერვატორიის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები და მიმართულების ხელმძღვანელების მოვალეობები, რომლებიც აკადემიური პროგრამის შინაარსობრივ და ადმინისტრაციულ ფუნქციონირებას ეხება. როგორც დადგინდა, პროგრამული მიმართულებების ხელმძღვანელებს აღნიშნულ მოვალეობის შესრულებისას არ ერიცხებათ ხელფასი, მიმართულებას არ აქვს რაიმე სახის დებულება ან რეგულაცია, არ წარმოადგენს საშტატო ერთეულს, აღნიშნული მოვალეობის შესრულება არ აისახება პროფესორის დატვირთვაში, არ არის დადგენილი და დამტკიცებული მიმართულების ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილება.
   თუმცა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგმა ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც დაადგინა ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ, როგორც ინტერვიუების საფუძველზე გაირკვა პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი აკადემიური პროგრამისა თუ მიმართულების შინაარსობრივი ფუნქციონირების თვალსაზრისით ანგარიშვალდებულია ჯერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, შემდეგ კი კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. შესაბამისად, როდესაც პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი ამავდროულად იკავებს საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობას, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, როდესაც მიმართულების ფუნქციონირების ხარისხს თავადვე მიმართულების ხელმძღვანელი ამოწმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ს(ს)იპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #6, 14 იანვარი 2019;

ს(ს)იპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #4, 1 ივნისი 2018;

ს(ს)იპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #7, 11 თებერვალი, 2019;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტოში წარდგენილი ცვლილების დოკუმენტი, რეგისტრაციის თარიღი 21 მარტი 2019, რეგისტრაციის ნომერი 01/357

ს(ს)იპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #5, 14 იანვარი 2019.

რეკომენდაციები: 1. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა კონტიგენტი წარმოდგენილი იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად (საბჭოს წევრთა ¼).** 2. **დასრულდეს ს(ს)იპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების განახლებული რედაქციის დამტკიცების პროცესი.**
რჩევები: **შემუშავდეს მექნიზმი ინტერესთა კონფლიქტის აღმოსაფხვრელად (როდესაც კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ამავდროულად ხელმძღვანელობს საეკლესიო მუსიკის პროგრამულ მიმართულებას)**
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორიგნის მიზანს წარმოადგენდა უსს-ს აკადემიური პერსონალის შერჩევის სისტემის შემოწმება. უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო აკადემიური თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლევრივი აქტების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, მკაფიოდ განსაზღვრულიყო კონკურსანტებისათვის უპირატესობის მინიჭების მექანიზმი, კონკრეტულ კომპონენტში კონკურტანტისთვის ქულების მინიჭების სქემა. სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მიერ მიღებული „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესი“ გაუქმდა 2017 წლის 22 მაისის სხდომის ოქმი N3-ის მე-2 დადგენილებით და ძალაში შევიდა „ს(ს)იპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“, რომელშიც დამატებითი

ცვილებების ინიცირება მოხდა 2019 წლის 14 იანვარს N05 ოქმით და 2019 წლის 16 მაისის N08 ოქმით, რომელიც დედნებთან გაცნობის საფუძველზე დასტურდება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით. სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არანაკლებ 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. ამავე კანონის ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი−მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.“
ამრიგად, მე-5 პუნქტის საფუძველზე შესაძლებელია ასისტენ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობების შეცვა.
ზემოაღნიშნული გარემოებასთან შესაბამისობაში მოდის 2017 წლის 22 მაისისს მიღებული „ს(ს)იპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“, რომელის 2 მუხლშიც მითითებულია, რომ ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური **ან/და** შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება. მოცემული დებულებიდან გამომდინარე ასისენტ-პროფესორობის კანდიდატი არ საჭიროებს დამატებით პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილებას, რაც გულისხმობს სრულ შესაბამისობას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 5 პუნქტთან.

2017 წლის 22 მაისის მიღებული „ს(ს)იპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“ არ ითვალისწინებს „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლში არსებულ მითითებას, რომ კანდიდატის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება ბოლო 3 წლის მონაცემებს“. აქედან გამომდინარე ხდება ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული აქტივობის გათვალისწინება.
„სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“-ში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არჩევის რამდენიმე კრიტერიუმი ვლინდება:

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:
ა) შემოქმედებითი-პროფესიული უნარები (დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საკუთარი ნაწარმოებების პრეზენტაცია);
ბ) პედაგოგიური უნარები (გაკვეთილის/ლექციის ჩატარება კონსერვატორიის სტუდენტთან).

შეფასების დამატებითი კრიტერიუმები:

ა) შემოქმედებითი მოღვაწეობა (საკონცერტო მოღვაწეობა, მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე, დიპლომები, პრემიები, ჯილდოები, წოდებები, სტიპენდიები, აუდიო/ვიდეო პუბლიკაციები (CD/DVD)),სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა და სხვა; (ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 16 მაისის N08 ოქმით)

ბ) პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის აქტივობები.

ამავე წესის მე-7 მუხლის 2 პუნქტსა და 4 პუნქტის 1 პრიმა ნაწილში შესულია ცვლილებები წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 14 იანვრის N05 ოქმის საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა 2019 წლის 15 იანვრიდან.

2 პუნქტში მითითებულია, რომ „თითოეული კრიტერიუმი (კომპონენტი) ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით."

ხოლო 4'.-ში მითითებულია „კრიტერიუმის (კომპონენტის) ქულობრივი შეფასება განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) ლექციის შინაარსი - 4 ქულა, საიდანაც არჩეული თემის შესაბამისობა სილაბუსთან - 1 ქულა; თემის ძირითადი დებულებების გაშლა - 1 ქულა; თეორიისა და პრაქტიკის ორგანული კავშირი, თეორიული მასალის და კონკრეტული მაგალითების თანხვედრა - 1 ქულა; გამოყენებული ტერმინოლოგიის სიზუსტე 1 ქულა;
ბ) სწავლების მეთოდები - 3 ქულა, საიდანაც სალექციო დროის რაციონალური გამოყენება - 1 ქულა; სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენება- 1 ქულა; გადმოცემის ლოგიკურობა და არგუმენტირებულობა- 1 ქულა; 9
გ) კოგნიტური და კომუნიკაციური უნარები - 3 ქულა, საიდანაც მეტყველების კულტურა- 1 ქულა; ინფორმაციის გადამუშავება- 1 ქულა; სტუდენტურ აუდიტორიასთან კონტაქტი- 1 ქულა. „

რაც განსაზღვრავს მხოლოდ პედაგოგიური უნარების შეფასებას, ხოლო **შემოქმედებითი-პროფესიული უნარების** შეფასების კრიტერიუმი არ არის განსაზღვრული.
აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ამავე წესის ამავე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია „გამსვლელი ქულა ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შეადგენს 16-ს (თითოეულ კომპონენტში გამსვლელი ქულა არის 8)." რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა მოხდეს ქულობროვი შეფასება.
ამასთანავე ამავე წესის 7 მუხლის 7 პუნქტში მითითებულია, „კონკურენციის პირობებში, პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტპროფესორის ვაკანსიაზე ძირითად კრიტერიუმებში შეჯამებულ გამსვლელ ქულათა თანაბრობის შემთხვევაში, კონკურსანტები ფასდებიან დამატებითი კრიტერიუმების მიხედვით, აგრეთვე 10 ქულის ფარგლებში." მაგრამ წესდებაში არ ფიქსირდება, **დამატებით კრიტერიუმზე** ქულების მინიჭება როგორ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება შემუშავდეს რაიმე სახის მექანიზმი და გაიწეროს იგი წესში, რომელიც კონკრეტული ქულებით მოახდეს დამატებითი კრიტერიუმის შეფასებას.

„სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი" 2 მუხლში განსაზღვრულია ასისტენტ-პროფესორის კონკრეტული ვადით არჩევის საკითხი, „ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური ან/და შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება." რაც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 3 პუნქტს „ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით. სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არანაკლებ 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი."
"2017 წლის 22 მაისის მიღებული „ს(ს)იპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი" ასევე მოიცავს ინფორმაციას კონსერვატორიის პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის შერჩევის კრიტერიუმებისა და ძირითადი მოთხოვნების შესახებ. თუმცა, მარეგულირებელ დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ ასისტენტ-პროფესორის პედაგოგიური უნარების შეფასების ქულობრივი განაწილება, მაშინ როცა პროფესორისა და

ასოცირებული პროფესორის პედაგოგიურუი, სამეცნიერო-კვლევითი ან შემოქმედებით-პროფესიული და დამატებითი კრიტერიუმების შეფასებისთვის საჭირო ქულობრივი სისტემა წარმოდგენილი არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

„სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“

წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 14 იანვრის N05 ოქმი
წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 16 მაისის N08 ოქმი

რეკომენდაციები:

კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიური პერსონალის არჩევის წესში მკაფიოდ იქნას განსაზღვრული კონკურსანტისთვის ქულების მინიჭების სქემა: ასისტენტ-პროფესორების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას **შემოქმედებითი-პროფესიული უნარების შეფასების კრიტერიუმებში** და **დამატებით კრიტერიუმებში** შეფასების ქულობრივი სისტემა, ხოლო პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების შემთხვევაში განისაზღვროს როგორც **პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებით-პრაქტიკული და დამატებითი კრიტერიუმების შეფასების ქულობრივი სისტემა.**

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან